

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას

მისამართი (ფიზიკური ან იურიდიული პირის,
ინდ. მეწარმის)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობილი ვარ, რა „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისათვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ნიმუშის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) ფორმისა და მისი შევსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 10 თებერვლის N218 დადგენილებასა და სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პაკეტს, ვკისრულობთ ვალდებულებას სრულად და ჯეროვნად შევასრულო ზემოაღნიშნული აქტებით (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკონკურსო პირობებით) განსაზღვრული პირობები №1 ლოტზე რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M₃ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებზე ნებართვის მიღების მიზნით, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოგიდგენთ მოთხოვნილ დოკუმენტაციას.

დანართი: 1.

2.

3.

სახელი, გვარი (ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის უფლებამოსილი წარმომადგენლის).

საბანკო გარანტიის ფორმა კონკურსში მონაწილეობისათვის

საკონკურსო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა

№ _____

[გაცემის ადგილი]
წელი

[რიცხვი][თვე] 20----

გარანტი: [საფირმო სახელი/საიდენტიფიკაციო ნომერი]

პრინციპალი: [სახელი, გვარი ან საფირმო სახელწოდება/საიდენტიფიკაციო
ნომერი]

ბენეფიციარი: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია

საგარანტიო თანხა: 30 000 [ოცდაათი ათასი] ლარი

ვითვალისწინებთ, რა რომ პრინციპალი მზად არის წარმოადგინოს თავისი საკონკურსო წინადადება ბენეფიციარის მიერ (კონკურსის დასახელება და საფუძველი) გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, შესაბამისად ვიღებთ უპირობო და გამოუთხოვად ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე, რომლის მიხედვითაც დროულად და სრულად ვუზრუნველყოფთ ბენეფიციარისთვის საგარანტიო თანხის - 30 000 [ოცდაათი ათასი] ლარის გადახდას შემდეგ შემთხვევებში:

1. ბენეფიციარის მიერ გამოცხადებულ რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M₃ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში პრინციპალის გამარჯვების შემთხვევაში, ნებართვის მისაღებად ამ უკანასკნელის მიერ საქართველოში საწარმოს არ დაფუძნების შემთხვევაში.
2. ბენეფიციარის მიერ გამოცხადებულ რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M₃ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში პრინციპალის გამარჯვების შემთხვევაში, ნებართვის მისაღებად ამ უკანასკნელის მიერ საკონკურსო და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების საბანკო გარანტიის წარუდგენლობის შემთხვევაში.
3. ბენეფიციარის მიერ გამოცხადებულ რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M₃ კატეგორიის ავტობუსით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში

პრინციპალის გამარჯვების შემთხვევაში, ნებართვის მისაღებად ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულების გაუფორმებლობის შემთხვევაში.

4. ბენეფიციარის მიერ გამოცხადებულ რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_3 კატეგორიის ავტობუსით) ნებართვის მამიებელთა კონკურსში პრინციპალის გამარჯვების შემთხვევაში, ნებართვის მიღებაზე ამ უკანასკნელის მიერ უარის თქმის შემთხვევაში.

გარანტია ძალაში რჩება _____ წლის ____ _____ ჩათვლით.

გარანტია უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან, არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადაში, ბენეფიციარის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ ბენეფიციარის მოთხოვნაში მითითებული იქნება, რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევ(ებ)ის დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა და ბენეფიციარის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება გრანტს გარანტიის მოქმედების ვადის დასრულებამდე შემდეგ მისამართზე:

[მისამართის რეკვიზიტები]

მოთხოვნას გარანტიაზე თან უნდა ერთვოდეს გარანტიის ასლი და მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გარანტია ავტომატურად უქმდება:

- გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობითი უარის თქმისა და მათი გარანტისათვის დაბრუნებისას.

[გარანტიაზე ხელმომწერი პირის სახელი, გვარი]

[თანამდებობა]

საბანკო გარანტიის ფორმა საკონკურსო და სახელშეკრულებო
ვალდებულებების შესრულებისთვის

№ _____

[გაცემის ადგილი]
წელი

[რიცხვი][თვე] 20----

გარანტი: [საფირმო სახელი/საიდენტიფიკაციო ნომერი]
პრინციპალი: [სახელი, გვარი ან საფირმო სახელწოდება/საიდენტიფიკაციო
ნომერი]
ბენეფიციარი: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია
საგარანტიო თანხა: 100 000 [ასი ათასი] ლარი

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა, ბენეფიციარის მიერ (კონკურსის დასახელება, ლოტი (მარშრუტი) და საფუძველი) M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებზე ნებართვის მაძიებელთა კონკურსზე მის მიერ წარმოდგენილი განცხადების შესაბამისად, იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული საკონკურსო და სახელშეკრულებო ვალდებულებების ნებართვის მოქმედების ვადაში ჯეროვნად შესრულების გარანტიის სახით, შესაბამისად ვიღებთ უპირობო და გამოუხმობად ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე, რომლის მიხედვითაც პრინციპალის მიერ საკონკურსო და სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნიდან, არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადაში, დროულად და სრულად ვუზრუნველყოფთ ბენეფიციარისათვის საგარანტიო თანხის - 100 000 (ასი ათასი) ლარის გადახდას შემდეგ შემთხვევებში:

1. ბენეფიციარის მოთხოვნით;
2. პრინციპალის ლიკვიდაციის/გარდაცვალების შემთხვევაში;
3. პრინციპალის მიერ საკონკურსო და სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;
4. პრინციპალისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში.

ბენეფიციარის მოთხოვნაში განმარტებული უნდა იყოს, თუ რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევ(ებ)ის დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა. ბენეფიციარის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება გარანტს გარანტიის მოქმედების ვადის დასრულებამდე. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს

მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ საკონკურსო და სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე ნებართვის მოქმედების განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს (თარიღი).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გარანტიაზე მოთხოვნა ან პრეტენზია წარმოდგენილი უნდა იქნეს აღნიშნულ თარიღამდე (მის).

გარანტია ავტომატურად უქმდება:

- გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობითი უარის თქმისა და გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.